



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
ბრძანება 1105



KA012025940683214

17 / ოქტომბერი / 2014 წ.

თბილისი


საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 6 მაისის №24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების მე-5 მუხლის „კ“ და „პ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI¹ თავით (გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით) გათვალისწინებულ შემთხვევებში დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემისა და დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მიენიჭოთ აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის - გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურის მრჩეველებს და ქეის მენეჯერებს;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულის გამარტივებული წარმოების სამსახურის თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 4 ივნისის №518 ბრძანება;
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



ოსებ ბადათურია